კვირა 16 მაისი ფასი 10 კაპ.




№ 20 — სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი




გამოცდა დაიწყო!

ლითოგრაფია ს. ზიხოვისა.

## სალიტერატურო
# „ბარაშკაჯან“
**გრიგოლ როგაქიძისა**

რვა მაისია,
ზეცას ნისია
არ შერჩენია წვეთი ცრემლისა .
ჰგოდებს საწყალი,
ჩამოსდის წყალი
რკინასაც გასტეხს ტყვია გრდემლისა.*)
ვიშ ამ სალამოს,
შეუსაბამოს!
ტანჯული ქვეყნის, ტანჯული ერი
გაიგდებს ჯანსა,
,,ბარაშკაჯანსა‘‘...
როგორ უხდება ხალხს უნა...ერი!
მამულო ჩვენო,
ქართველო ბრძენო,
ქალაქს დასცქერი შენ ზედაძენო,
რას ხედავ ნეტავ,
ქართლის კომეტავ?
ოჰ შესარცხვენო, ოჰ შესარცხვენო!

I

სცენა ლამაზი...
სინათლე ნაზი...
ეგ ვინ წარმოსდგა აქ ბუმბერაზი?
ჰიკი განგებავ,
საქმის გაგებავ,
ეს მწერალია, ან თუ ხარაზი?
ალალო ბაგე,
(ოჰ რათ დამდაგე!)
ყვავილებს მუსრავს დაუნდობელათ.
აგერ ყაყაჩო
სიწყლათ წაახრჩო,
ეგერ ზამბახი გასრისა ხელათ...
საბრალო ვარდსა
რალათ ჰგვრის დარდსა?
ნეტავ რა ავნო, რა აწყენინა?
ნუ თუ ამგვარის,
ჰკუა მაგარის
შესაფერია სცენაზე ბინა?
მეტი აქვს განი,
მეტი აქვს ხანი
ნუ თუ ეგ არის „ბარაშკაჯანი“?
ოი, რას ამბობ?
განგებასა გმობ,

ეგ პირველია მამულიშვილი,
არ ყავს წყვილია
ჰქვიან ილია
მისი გვარია ზურაბიშვილი.
—მაშ ,,ბარაშკაჯან‘
რა იქნა, ქაჯან?

II

აგერა, მოდის...
ახალი მოდის
დეკადენტია ნიჭ მიღებული.
ბაყაყი, გველი,
კუ, მორიელი
ყველა თან მოჰყავს აღოლებული.
ზამბახის ყვავილს,
ზურგისა ქავილს
ის დაუამებს, ის დაუწყნარებს,
ვირს დააყვირებს,
ხალხს გააკვირებს;
ბაყაყს ამღერებს, გველს ამძინარებს.
მას კლეოპატრა
მყის მოენატრა,
ყურისა სმენა მსწრაფლ გაუქვავდა.
ჩვენს ტრფობის საგანს
იმ ,,ბარაშკაჯანს‘‘
ეს გარეგნულათ სულაც არ ჰგავდა.
ნუ თუ გეგონათ
გულს მოგეფონათ
რომ ეს მწერალი ,ბარაშკა‘ იყო?
იგი სხვა არი,
ბრძენთა სადარი
ლორთქიფანიძე, სახელად ნიკო.
—მაშ ,,ბარაშკაჯან‘‘
რაიქნა, ქაჯან?

III

თითონაც მიკვირს,
მეც ძვირათ მიღირს
,,ეროვნულ‘‘ სატრფოს მოვავლო თვალი,
მაგრამ არა სჩანს,
ჩვენს ტრფობის საგანს
წინ უსწრებს თურმე ვილაც ,,კლდის ქალი‘‘.
ამას რას ჩადის?
სწორათ ვერ დადის...
ალბათ გზა იყო მეტათ კლდოვანი,
სიტყვა ებმება,
ხელი შეშდება
შორს გასროლილი ძალ-გულოვანი.
ნეტა ვინ არი
გულ გასახარი
ლექსი ებნევა ერთი მტკაველი?
ნუ გაუმტყუნებთ,
ძრახს ნუ ვარგუნებთ.

---

*) ვაცხადებ საჯაროთ და სამწუხაროთ, რომ ეს პატარა დეკადენტური პოემა დაწერილია განსაკუთრებულ პირობებში და განსაკუთრებულს ყაიდაზე. ეშმაკი.

ეგ მგოსანია, ვაჟა-ფშაველა.
—მაშ ,,ბარაშკაჯან‘‘
რაიქნა, ქაჯან?

IV

გქონდეს მოთმენა!..
მე გეტყვი შენა
ბევრი ვეძებეთ და ვიმარხულეთ!
ისიც გვეყოფა,
სახახობა
ჯერ რაც ვისმინეთ და ვინახულეთ.
აი თუ გინდა,
გიორგი წმინდა
გზად აბარგულა სატრფოს თანხლებით,
(თუ თქვენც იქ გინდათ,
აქ მოგეწყინდათ
მიკვირს, რატომ არ წაიხანხლებით?)
მაშინ ნაჭენი,
ეს გმირი ჩვენი
სოფელს მიადგა პლატონიურად,
მუნ მდინარეზე,
მომდინარეზე
ნავით გასცურდა. საქე ტივურად
მან მოუქნია,
(ეს რა უქნია?)
ეს საშიშარი და სათარსაგო?
მუნ მომღერალმა
და იმ მხევალმა
უცებ რომანი თურმე ააგო.
გრძნობა ენჯაყვა
დარდებს გადაყვა
პლატონიურად ქლენთილი სიძე,
ტურფად ცნობილი,
(მკლავებ წრთობილი)
ჩვენი გრიგოლი დიასამიძე.
—ვა , ბარაშკაჯან‘‘
რაიქნა, ქაჯან?

V

გითხრა მართალი,
განათლდა თვალი...
პოეტს ეჩვენა... ტიტველი ქალი.
დასათრობელი
როგორც საბელი.
მგოსანმა თურმე იწყო კანკალი.
ბოლოს იხარა,
მუხლთ მოიხარა
იმა ხატების წინ მედიდურმა,
ქალმა შეხედა,
და ეს გაბედა:
,,რა ვისმინეო, მე უბედურმა!‘‘
გაქრა აჩრდილი,
ავტორი ზრდილი
ზეზე წამოდგა, ამაყად შლილი.
მე სხვა მეგონა
აჩრდილის მონა,
თურმე კოტეა ის მაყაშვილი.
—ჰმ, ,,ბარაშკაჯან‘‘
რაიქნა, ქაჯან?

VI

როგორაც შველი
ბილიკზე მვლელი
ის გამოიჭრა სცენისა არეს,
და შუქ ნისლული
ვილაც ასული
კუთხეში ეწვა სატრფოს მწუხარეს.
სდუმს თურმე იგი,
ტრფობის ტარიგი,
სდუმს, სდუმს და სჭკნება, სჭკნება და ქრება.
მას, გაშმაგებულს,
ვითარცა ბულბულს
რისხვისა ქარი მკვეთრ ემუქრება.
გააქვს სისინი,
(ოჰ სპერმატინი)
თითქოს გაისმის ბავშის კრიჭინი
თვალ უწვდენელი,
აზრთ საფანელი
გადაიმალა ,,მგოსნისა‘‘ ჭინი *)
ნეტავ ვინ არი
რუსთველის დარი,
,,მოკლისა‘‘ ეგზომ ,,გრძლათ‘‘ მათრეველი?
თურმე ნუ იტყვით,
მდიდარი სიტყვით
ლევან ყოფილა ის, მეტრეველი
მას ,,ბარაშკული‘‘,
უკლები, ხრული
კურსი აქვს თურმე გადასწავლული,
მაგრამ ,,ბარაშკა‘‘
სიბრძნისა ,,ბაშკა‘‘
ის არ ყოფილა, ტრფობით დაგული.
—მაშ ,,ბარაშკაჯან‘‘
ვინ არის, ქაჯან?

VII

ოჰო, ჰო, ჰო, ჰო!
ვით კორტიზა ხბო,
ისე გამოხტა პატარა ბიჭი!
პირ მომღიმარი,
ვითარცა ქარი,
გადაგვიმალა თავისი ნიჭი.
ტრფობის საგანი
,,ბარაშკაჯანი‘‘

---

*) ბოდიშს ვიხდი, რომ რითმის კეთილხმოვანობისათვის არ დავზოგე და მგოსნის „ნიჭი“ უკუღმა ვიხმარე.

**ეშმაკი.**

# როგორ აშენებენ ისტორიას!




1) ბატაილმა დასდო პატარა ბურთი. 2) სენსაციის მოყვარე გოთუამ პირველმა დაუწყო მას ბერვა.
3) გოთუს მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. 4) სინდისის ქენჯნის სასამართლომ ბურთს ნესტარი ჰკრა.
5) გაოცებული ჟურნალისტები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო იმისი ცხოველი ნიჭის
ცხვირზე უკბინა
და შეაშინა ..
(გასინჯვა სურდა ალბათ მას კიჭის!)
ეს არ იკმარა,
თავს ჩაათვარა...
ოჰ, რა ლამაზათ, რა მოხდენილათ!!!
კიდეც ეკონა,
კიდეც ემონა
ორთაჭალურლათ, გამოჩენილათ.
ძლიერ მეამა'!
უცხონდა მამა
ვინაც ის, იმ დღეს, იქ მოგვიყვანა.
ეგ არი ისო,
,,საბარაშკისო''
ამას იტყოდა მთელი ქვეყანა,
მაგრამ ცდებოდენ
დასკვნას შვებოდენ
შეუფერებელს, შუსაბამოს
ამგვარი აზრი
თავ მომაბეზრი
მრავლად ვისმინეთ ჩვენ იმ სალამოს.
იგი კი, ზრდილი,
სიტყვებში ფრთხილი,
ვაჰ, „საეროვნო ჩანგის" მგლერავი
არს გრიშაშვილი
პოეტი ჩვილი
,,საბარაშკოთა'' ლექსთა მწერავი.
—მაშ ,,ბარაშკაჯან''
სად არის, ქაჯან?

VIII

გამოდის აგერ,
სულ რაღაც სხვაფერ,
ხელები უკრთის, ხმა უკანკალებს
შფოთავს და ღელავს,
სცენასა სთელავს.
გრძნობით იწვართავს თითისა ძვალებს,
და იწყებს ტანჯვით
(ბულბულის ზაძვით)
შორიდან ვარდებს ეალერსება!!
როგორც შევხედე
ფიქრი გავბედე:
ნეტავ ვინ არის ესე არსება?
ხმამ იდუმალმა,
(ვექვობ მართალმა)
ჩამძახა ყურში მწვანე ჩურჩულით:
ესე ,,ლამპარი'',
არს წინაპარი
ბარათაშვილის ნიჭისა სულით.
ის უღელს უწევს,
(ტიკებთან თუ წევს)
გრიშაშვილისა ,,ბარაშკულ'' მუზებს,
შანშიაშვილსა,
და გრიშაშვილსა
ნუ თუ არ იცნობ ,,ეროვნულ'' ტუზებს.
—მაშ ,,ბარაშკაჯან''
სად გაჰქრა, ქაჯან?

IX

ჰა, ტაში გრგვინავს,
(ეშმაკს არ სძინავს!)
ეგ ვინ გამოჩნდა ტრიბუნის მხარეს,
ტრფობით ქართულით,
(უზომოდ ბრძნულით)
კვალად რომ იწვევს ტაშსა მქუხარეს?
ვინ გენერალსა,
ტრფობისა ალსა
ახვევს და ადგამს შარავანდედათ?
ვის მომავალსა
უნათებს თვალსა
გენერალისა იმის იმედათ!
ოჰ, სიყვარული
სიტყვა-კაზმული!
რა ძვირფასია, რა მშვენიერი!
გული მით გულობს,
მითი სულდგმულობს
ლამაზ მოსიტყვე ,,ქართველი ერი''.
და გომართელი,
საათი მთელი
ტრფობის ნიალვარს გადმოაქუხებს
ზედმეტი ტრფობით,
ეშხით და მკობით
ვგონებ სატრფოსაც კი შეაწუხებს
—მაშ ,,ბარაშკაჯან''
რაიქნა, ქაჯან?

X

გთხოვთ ბარაშკაზე ნუ მკითხავთ რამეს:
მათში ვიჯექი მე იმა ღამეს
ვისმენდი იმათ ტაშს, მოწონებას,
ქებას ვასხამდი იმის გონებას,
ვინც ეგრე მარჯვეთ და ხელოვნურად
ბარაშკებს ხელსა ავლებდა ყურად,
ვინც კრეჭავს იმათ დაუზოგავათ,
და მომლიმარი შესცქერის თავად.
მას შემდეგისთვის
მოვინახულებ...
(რაკი გპირდებით,
სჩანს შევასრულებ!)
და ჩვენი ტრფობის
ძვირფას საგანზე,
მაშინ გიამბობთ
,,ბარაშკაჯანზე.''

**ეშმაკი.**

# ორი ქოხი

1

ვისია ქოხი
მიტოვებული?
ქარი მრისხანე,
გაშმაგებული,
ირგვლივ აწვება,
დრტვინვით ასკდება,
დამხობას ლამობს
გამწარებული.
აღმოსავლეთით
გაჰყურებს კარი,
ვით ცალი თვალი
მიბნედილ-მკვდარი!
ისლს აცლის უნდოთ
ქარი საზარი,
ძარცვავს, აძინებს
ბედგანამწარი...
და სიბრალულით
გაჰყურებს მგზავრი.
ვისია ქოხი?
რათ ანგრევს ქარი?

—

ირგვლივ მიდამო,
ტყე, მთა და ბარი
გაზაფხულისა
სიამით მტკბარი...
ის კი შუაში
ვით სატკივარი,
ვით მომავლისა
უცხო სიზმარი!..
რაღაც სიმბოლო
გაუგებარი!
მზე ვერ ანათებს,
თუმც მოსჩანს კარი .
ის აქ იზრდება
მხნე მეომარი,
მომავლის ძალა,
იმედი, ფარი.
ჯერ აკვანში აქვს
თავშესაფარი.
ბრძოლის სიზმრებსა
აზმანებს ქარი..
მშობელთ ძარცვავენ...
ცრემლი სდით... ღვარი...
ვისია ქოხი?
რათ ანგრევს ქარი?

2

ვისია ქოხი
მიტოვებული...
ქარი მრისხანე,
გამწარებული,
ირგვლივ აწვება,
დრტვინვით ასკდება,
დამხობას ლამობს
გაშმაგებული!
დასავლეთისკენ
გაჰყურებს კარი,
ვითა უფსკრული
გულ-შემზარი,
ვით ცალი თვალი
მიბნედილ-მკვდარი!
ისლს აცლის უნდო
მამაცი ქარი
ძარცვავს, აძინებს
ბედ-განამწარი .
და სიხარულით
გაჰყურებს მგზავრი!
ვისია ქოხი?
რათ არღვევს ქარი?

—

როს ირგვლივ ყვავის
ტურფათ მთა-ველი,
ის, ჰარმონიის დამარღვეველი,
მწარე ფიქრების
გამომწვეველი,
სასწაულითა
ისევ დგას მთელი,
ქართან ბრძოლაში
ჯერ უძლეველი.
ახლო ბინადრობს
მტარვალი-გველი,
მიდამოს რისხვა,
შიშის მომგვრელი,
შხამით და გესლით
მინდორთ მომრწყველი
წიწილებსა სჩეკს
და კვებავს ჭრელი...
სული რათ უდგას,
აღმოხდეს, კელი...

იასამანი.

## დ ე პ ე შ ე ბ ი.

(შევარდენის სააგენტო)

**ბათუმი.** როგორც იქნა შესდგა სახალხო უნივერსიტეტის წევრთა სასოგადო კრება.

კრებას დაესწრო $5^1/_2$ კაცი და ასზე მეტი ბუზი. ორატორთა დამუნჯებამ გამოარკვია, რომ მთელი წლის განმავლობაში საზოგადოების გამგეობას უკეთებია არაფერი.

**იქიდანვე.** ილია ბახტაძემ წაიკითხა დაჩაგრული ლექცია დაჩაგრულ პოეტზე.

ლექციას დაესწრო თვით დაჩაგრული პოეტი. ამბობენ· ახლო მომავალში ერთ-ერთი დაჩაგრულ ახალ-აზრდა პოეტთაგანი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: დაჩაგრული ლექტორი და მისი დაჩაგრული ლექცია.

**იქიდანვე.** ამბობენ: ახალი რუსული გაზეთის გამოცემით ძველი გაზეთის გასაღებამ იკლოო.

ეს ტყუილია! ჩემი თვალით ვნახე, რომ ნორიაში მეყასპეები ფუთობით ყიდულობდენ.

**იქიდანვე.** არსდება მუშტ კრივაძეთა საზოგადოება. საპატიო წევრებათ ჩასწერეს თფილისელნი ცნობილი მუშტაძენი. ახლო მომავალში საზოგადოება დაიწყებს მოქმედებას. მოსალოდნელია ლოყათა თელქვა და ცხვირთა ლეწვა. ცხვირნი დიდ საგონებელში ჩავარდენ.

**იქიდანვე.** აქაურ მუშების ყურ'თან ერთად დასცალეს ასი თორმეტ დიუმიანი ზარბაზანი; მუშები მცირედათ შეიშმუშნენ, მეორე გვერდზე გადაბრუნდნენ და კვლავ განაგრძეს ტკბილი ძილი.

**იქიდანვე.** უგზო უკვლოდ დაიკარგა სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის იმედი; ვინც იპოვის ჯილდოთ მიეცემა ,,ქან, შინ, წილ, კან, განის'' აქაურ განყოფილების ზედ მეტი ენერგია.

# მგოსნის სიტყვები.

I

ფრთებს გამოვისხამ, ჩიტათ ვიქცევი,
ავკრავ კამარას, ცათ ავიჭრები,
მზისკენ გავსცურავ, გავსრიალდები,
მის პირველ სხივსა გულს ჩავეკვრები.
სალამს შევსტყორცნი მთვარე-ვარსკვლავებს,
მიუხმატკბილებ ზეცის ყვავილებს,
შემოვაფანტავ ღრუბელთა ჩრდილებს
უკუნეთიდან გადმოსროლილებს.
გვირგვინს დაუწნავ ქვეყნის მნათობებს,
ტკბილ ჰიმნს ვუმღერებ შესამკობელათ,
გაყინულ გულის ალმგზნებ გამთბობებს,
სიცოცხლის მომტანთ სამშობლოო ველათ,
და კვლავ ჭიკჭიკით ძირს დავეშვები,
კვლავ ვნახავ მთებსა ჩემის ქვეყნისას;
დავუსტვენ კოკორს, ეშხით დავთვრები,
ვახარებ მოსვლას განთიადისას.

II

ნუ, ნუღარ სტირი ჩემო პატარავ,
ნუ შეგაშინებს ცუდი სიზმარი!
მე ისევ აქ ვარ, ობოლ სულის დგმავ,
თავს დაგტრიალებ ფიქრით დამდნარი.
ყური დაუგდე ჩემ ტკბილ ნანასა,
პაწაწავ, სმენა გაიმახვილე,
ნუ შიეცემი ჯერ კაეშანსა,
ფიქრებით გული ნუღარ დათრთვილე.
ვიცი გაშფოთებს მომმეთ ვაება,
მაგრამ ნორჩი ხარ, ჯერ დამაცალე;
როს შეგეძლება თავის დადება,
მე თვით გაგიწვევ, შენ გენაცვალე.
შემდეგ ჰკა დუშმანთ შეუწყნარებლათ,
მზე შეიყვარე, დაჰგმე წყვდიადი
მუხთალ-ბედისგან დაჩაგრულ მომმეთ
უმახარობლე შენ განთიადი.

III

ჰოი, ცხოვრებავ, მქუხარე ზღვა ხარ,
მარად მშფოთავი დაუდგრომელი!
მაწამებ, მაგრამ მაინც მიყვარხარ,
შენ ხარ, შენ მხოლოდ შვების მომგვრელი.
გრძნობა მუდმივათ შენთან ნავარდობს,
ყველაზე მეტათ, გულს ენატრები,
ვერ მაჯადოებს, გრძნობას ვერ მით[illegible]
სიქიოსი ტკბილი ზღაპრები.
მე მირჩევნია შენი სტიქია,
ის ჩემთვის უფრო საამო არი;
ამ დაჭრილ გულსა მეტათ მიამებს
ვინამ დავითის ხმა-ტკბილი ქნარი.
სიკვდილ სიცოცხლეს შენთან აქვს ბინა,
მზისგან უხვი ხარ, თან გდევს წყვდიადი;
შენთან თავდება ყოფნა არ ყოფნა,
შენს მკერდზე იშვის თვით განთიადი!..

—

ფრთებს გამოვისხამ, ჩიტათ ვიქცევი,
ავკრავ კამარას, ზეცათ ავფრინავ...
მე მუხთალ მტრისგან არ დავიძლევი?!
ცხოვრებავ, შენ თუ აღარ გამწირავ!

**ნ. ჩხიკვაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# წკიპურტ-ლექციები.

**ლექცია 1.**

(სენაკისათვის)

„ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყო, რიტორიკაშიც ასე სწერიაო'', ამბობს ჩვენი დიდებული მგოსანი.

მაშ მეც შესავლით დავიწყებ, მაგრამ.. ერთი კია: კაი შესავალსაც ხომ კაი თავი უნდა? ლექციის შესავლის მონახვაც ხომ ისე ადვილი საქმე არ არის, როგორც სენაკის ციხის კარებისა?

შესავალშივე რომ ფეხი არ წავიტეხო, ისევ ილიასაგან ნახმარ გონიერი ანდაზით დავიწყებ: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს ზურგს უკანაო". მარა, უკაცრავათ! ცუდი კი არა იფიქროთ რა... ეს ანდაზა ისე ანაზდეულად სიტყვამ მოიტანა, თორემ ან პირში, ან ზურგს უკან თქვენს საძრახისს როგორ ვიტყვი! თქვენი ძრახი ხომ ჩემი ძრახიც იქნება, და აბა ამას რათ ვიზამ' ასეც რომ არ იყვეს, დასაძრახავი ან კი რა გაქვს!! მე თქვენ გეტყვით, თვალადობა გვაკლია, თუ ტანადობა, კოხტათ ჩაცმა-დახურვა არ ვიცით, თუ ტკბილათ სმა-ჭამა! ან და ვითომ ვინმე გაკადნიერდება და ზრდილობიან სიტყვა პასუხს და თავაზიან ქცევას დაგვიწუნებს?

თქვენც არ მომიკვდეთ! ამისთანობაში, მადლობა ღმერთს, მთელი ქვეყნის მეცნიერნი აღიარებენ კოლხიდის შვილთა წარჩინებას. კაცმა რომ თქვას, არც სხვა მხრით ვართ დასაწუნი... რატომ ვაქო!! ჩვენი დაბა—ახალი სენაკი, ჯერ ერთი რომ ახალია და მეორე კიდევ,—დაბაა. დიახ, ჯერ ჯერობით თუმცა დაბაა, მარა ზოგიერთ ქალაქებად მონათლულ ქალაქებზე არც თუ ისე დაბლაა...

ხაზინა ჩვენ არ გვაკლია, რკინის გზა, სამაზრო სამსჯავრო და სამმართველო და ფოსტა ტელეგრაფი. ესენი ხომ ყველა გვაქვს და აბა რით სჯობს ჩვენს დაბას ქალაქად მონათლული ოზურგეთი, გინდ თელავი?!

თუ ალებ-მიცემაზეა საქმე, მიცემის რა მოგახსენოთ, თორემ ალება სხვებზე ნაკლები არც ჩვენ ვიცით. არა გჯერათ? თუ არ გჯერათ, აი თუნდ ჩვენს აწ განსვენებულს „შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის" კასაში იკითხეთ. (თუ კასაც თაგვებს არ შეუჭამია, რასაკვირველია) დიახ, იკითხეთ იქ და, სხვა თუ არავინ, ბატონი სპირდონი მაინც დაგარწმუნებთ, რომ ჩვენ იქიდან, რაც იყო, სულ ერთიანათ ავიღეთ. მიცემით კი, ჯერ არაფერი მიგვიცია... მარა, უკაცრავათ! მე ამ ალებ-მიცემობაზე როდი ვამბობდი... სიტყვის მსგავსების გამო საგანს გადავცდი, თორემ მე ვაჭრობის შესახებ მოგახსენებდით.

ამ საქმეში ხომ ჩვენ ბადალი არა გვყავს. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო იმის საღირალი რა აქვს იმ ზოგიერთ—უკაცრავათ პასუხია --ქალაქებს, რამდენსაც ჩვენ სიმინდს, დაფნას და პარკს ვგზავნით ,,გრანიცაში''?! ეს კია: ახლა, არ ვიცით, რომელი დუმის გადაწყვეტილებით, გატანილ საქონელზე კაპეიკ-მაპეიკებია თუ რაღაც მათი კუდისრიკები, დააწერეს გადასახადათ. მაგრამ ეს სხვათა შორის... ტყუილათ ხომ არ შემოიღებდენ ამ გადასახადს? ალბათ ვისმე ეჭირვება. ნიკოლაძემაც ხომ დააწესებინა ნახევარ კაპეიკიანი გადასახადი? ვითომ —ფოთელებზე ნაკლები ჩვენ რით ვართ! იქ თუ „ბუხტს" აკეთებენ, ჩვენ ამ ბუხტზე მისასვლელ ხიდებს მაინც გავაკეთებთ, თუმცა, ღვთის წინაშე, ამას წინეთაც ქე შევკრიბეთ ოციოდე თუმანი მუხურის გზაზე ქალაქის ბოლოში ხიდის გასაკეთებლათ და ხიდი დღემდე არ გაგვიკეთებია, მარა რა ვუყოთ!.. ალბათ „ინჟინრები" ვერ შეთანხმდენ ამ ხიდის „პლანზე"...

ერთი სიტყვით, როგორც ხედავთ, არაფერი გვაკლია, რომ მოქალაქეებად გავხდეთ... იმე! თავი და თავი სულ დამავიწყდა. „ლასტინიცები" რამდენი გვაქვს, არ იკითხავთ?.. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... მარა ყველას ვინ მოთვლის! ჩვენოდენი სასტუმრო, მგონია, ქუთაისსაც არ აქვს. ჰოდა... ის საგუბერნიო ქალაქი და ჩვენი სენაკი კი დაბა! სამართალია ეს?!..

სასტუმროებში სადილს თუ [illegible] ხანდისხან; მართალია, წვნიან შეჭამადში ბუზები ბანაობენ, მაგრამ ეს რა ჩვენი ბრალია... ბუზებს ხომ ვერავინ დააბამს და ისინი კი იქ იყრიან თავს, სადაც რასმე გამოელიან. თუ საიდან გამოდიან ეს კაცობრიობის მტერნი, ეს ბუზნი ფრთოსანნი, ვიდრე ჩვენ მოქალაქეთა ულუფაში ბანაობას დაიწყებდენ, ეს ყველა ადგილობრივმა მზარეულმა ჩინებულათ იცის და თუ ჩვენ აქ ვერ განვმარტავთ, რასაკვირველია არა იმიტომ, თითქო არ ვიცოდეთ, არამედ იმიტომ, რომ საჯაროთ არ ითქმება.

ამისათვის ვაჩერებ თქვენს ყურადღებას ბუზებზე და ვწყვეტ ერთი კვირით ლექციას, რომ ყველა თქვენგანმა იხილოს ის სანახავი.

ფარდა.



# მესტვირული

—

,,ჩასძინებია ბენუკას,.
გაუშვა დრო და ხანაო:
ვერ უპატრონა ქამანჩას,
უგდია კარებთანაო,
სტვირს მოღრეცია კისერი,
ძველდება თანის თანაო,
მაისის ქარი უბერავს,
კვნესის ხმა მოიტანაო,
ბუნების ფერხულს ზედ ერთვის
საგალობელი ,,ნანაო'',

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაზე გაგვიჩნდა კომეტა,
ამ დროის გამოცანაო,
არ ვიცი, რას მოასწავებს
მნათობი ამისთანაო?
ცხრაი საჟენი კუდი აქვს
და თავი ღლავისთანაო''...

ასეთი მაწერილობა
ეშმაკმა მომიგზავნაო,
ზედ შავი ეკრა ბეჭედი,
შავში ფრთა გაეყარაო
და წარწერილი უბნობდა:
,,ბენუკას ხელში ჩქარაო!''
პიი პუ, ჩემო ქამანჩავ,
და ჩემო სტვირის ძალაო,
თურმე უჩვენოთ ქვეყანას
მთელის ხათაბალაო;
ავდგეთ, წავიდეთ მიმოვლოთ
ქალაქის ტყე და ჭალაო,
იქნება მართლა გამოდგეს
ეგ ჩემი თავის ქალაო?

ამბავსა რასმე დავიწყებ,
ნამდვილს, არ მონაგონესა:
ამირაჯიბის საქციელს
არავისაგან მოსაწონესა,
ნეტავ რას შვება ეგ კაცი,
რა ხშირად შინჯავს ლონესა?
ცხადია, ესე საქმენი
მოყმეთა მოუწონესა,
შეუქეს გამჭრიახობა
მით სევდა მოუფონესა,
უთხრეს, რომ მალე მიაღწევს
იგი მკლავაძურ ღონესა,
თუ არ დაზოგავს ქუჩებში
უწმაწურ გასაგონესა.

ნეტავი პეტრეს რას ერჩის
გელეიშვილად ხმობილსა?
ივანე ხეჩატუროვის
მუშაკს (და არა ძმობილსა)
,,გარედან'' ,,შიგნით'' წერაში
ნაქებს და გამოწრთობილსა,
ქუჩაში რისთვის უხვდება
მას ერთსა, მხოლოდშობილსა,
ფიშტოს რათ ეძებს ,,ვაჟკაცი"
ტყვიებით ამოწყობილსა,
ან და რათ ლანძღავს დედ-მამას,
ოდესაც ებრძვის შობილსა,
ქუჩებს რათ ასმენს სიმყრალეს
პირითგან ამოშობილსა!
ნუ თუ ეს რედაქტორსა ჰგავს?
თუ გავს, სით გამოშობილსა?

ახლა მისმინეთ იგავი
ძველი და არა ახალი
აქ მხოლოდ ლექსათ იქნება
აზრით არ გამონაცვალი,
,,დედა-ენაში'' ეწერა
და ერქვა: ,,**კიტრის ნათალი**''
შიგ ჩინებული აზრია
თუ გსურთ სწორი და მართალი.

გზად მიდიოდა ერთხელა,
თურმე გლეხ-კაცი, საწყალი,
კიტრები ეწყო ჯიბეში
ნორჩი და ახალ-ახალი. .
სთლიდა და სჭამდა გემოზე
გზად იბნეოდა ნათალი.

მაგრამა, გლეხი იმ ნათალს
გზის პირად გადანასროლსა
ზე აფურთხებდა, რომ იგი
არ შეეჭამა გამვლელსა.
თითონ კი ასე ფიქრობდა:
,,არ მოჰკიდებო მას ხელსა
ვეღარც სხვა შესჭამს, რამეთუ
ზედ ნახავს კაცის ნახველსა' ,
ამგვარათ თესდა ის გლეხი
ბოროტებას და ნაღველსა!!!

როცა დაბრუნდა შინათკენ
მზე მაღლით გადმოჰყურებდა,
აჭერდა სიცხე უზომო,
სიკვდილსა მოაწყურებდა,
არ სჩანდა წვეთი წყალისა
წყურვილი უხუსტურებდა,
არ იყო მეტი საშველი
იმ ნათალს იაშურებდა
და წელან დანანერწყვავით
ტანჯულ რულს დაიპურებდა''

ეს გამახსენდა იგავი
ოდეს ,,ლისტოკის'' ვალათა,
ვიხილე პეტრეს წერილი
გამოწოლილი გძელათა,
ვიფიქრე: ნათალს კიტრისას
ნანერწყვს, არც ისე ძველათა,
მოსვლია ,,შვილი უძღები''
ცხადათ და უეჭველათა.

—

განა არ იცით? ქვეყანა
მუდამ ასეა ჭრელათა??

ბე—ნუ—-კი.

---

## დ ე პ ე შ ე ბ ი.

(მეთოხის საბგენტო)

**ბკეთი.** პ. თოხაძემ, მამასახლისობაზე საუკუნოთ ჯვარი დაიწერა.

**ლანჩხუთი.** აქაურ ქალებს აზრათა აქვთ: რადგანაც სათეატრო სახლის ასაშენებ მიწაზე ვერ შეთანხმდენ, ჰაეროპლანი გამოიწერონ და თეატრიც იმაში მოაწყონ.

**ჩიბათი.** გარდაეცვალა სამკითხველოს თავი. ნეტა ბოლოც არ გაყვებოდეს.

**იქიდანვე.** ჟურნალი ,,მათრახ-სალამური'' არ მოგვდის. პეტრე კი სდუმს.

**ჯუმათი.** ნ. ჭყონიას სახლის ნახშირს ადმინისტრაციამ მწყემსათ სამი სოფლის ყარაული მიუჩინა სანამ დააზღვევენ.

---

### ის კვლავ სდუმს.

—

საღამო არის. ლაჟვარდსა ცაზე
ლაღათ მისცურავს პირ ბადრი მთვარე
და გაყუჩებულ არე მარესა
სხივთ შადრევანს ჰფენს კაშკაშ-ელვარე.
ძირს გადაშლილნი მთა მინდორ ველნი,
საკინძ გახსნილნი მწვანოვანობენ,
და სურნელოვან ყვავილთ ფერია
ციურ ცვარ-ნამში ბანოვანობენ
ველზე, ნიავი ფიქრთ უკუმყრელი,
დაქრის ჩურჩულით დაუცხრომელი
შორით ბულბული ტკბილ ხმას გასძახის
ვარდი ეშხით თრთის, დაბლა თავსა ხრის
კორდიდან მოხტის ჩხრიალა წყარო
სატრფოთ ქცეულა მთელი სამყარო
მაგრამ მე, კი მე, ვერ მხიბლავს არე
ედემ სადარო, პირ მომცინარე.
ტყვეთ შეუპყრივარ სევდა ნაღველსა,
გრძნობის მომშხამავს, გულის დამწველსა,
ბუნების წარმტაც ნარნარობასა,
უგულოთ ვუცქერ, განრისხებული,
ტურფა ყვავილებს ვმუსრავ და ვთელავ
როგორც დემონი გამძვინვებული.
ან რატომ არის, როს ბუნებაში
გამეფებულა ალერს ტრფიალი,
თავს რად დაგვჩხავის შავი ყორანი,
სულს რათ გვიხუთავს ოხვრა ტიალი?
ქვეყნის შემოქმედს მეტყველთა ტანჯვა
რატომ არ ესმის, არ ეყურება,
კაცს, სულთქმის იმედ გაღვართქაფებულს
შვების ნამათ რათ არ ეპკურება?
საგრამ ის კვლავ სდუმს, გულის ხმიერის
სიტყვები სულაც არ ეყურება
და კოკობ ძუძუს მსგავს მთებათ -წვდილ
წალკოტისაკენ გაიყურება.

**დ. თურდოსპირელი.**

---

### დ ე პ ე შ ე ბ ი

**ქუთაისი.** „ცნობილ პედაგოგ“ კონსტანტინე მკურნალს სიზმრად უნახავს: ,,თითქო მის ,,საყოველთაო'' გიმნაზიას, მთავრობის გიმნაზიათა უფლებები მიენიჭა''.

ამ გარემოებამ დიდ საგონებელში ჩააგდო ცნობილი ლევიცკისტები: სპ. ენუქიძე და დ. დ—ძე. ვანუზრახავთ: მიჰბაძონ კონსტანტინეს მაგალითს დ ქუთაისის გუბერნია ,,თავისუფალ[illegible]'' მოფინონ.

**იქიდანვე.** გამოცდილი მკვლევრები შეუდგენ ადგილობრივ ,,წარჩინებულ პირთა'' ყოფა ცხოვრების აღსძრა. მკვლევართა გზა დაბნეულობას კუდიან ვარსკვლავს აწერენ.

**იქიდანვე.** მრავალ-ტანჯულმა ქუთაისის ბულვარმა საჩივარი განაცხადა: ,,რა არის, მეყო ამდენი ტკეპნა უსაქმო ხალხისაგან, მომეცით ერთი დღე მოსვენებაო''.

---

## გ ა მ ო ც ა ნ ა

(ქუთაისისათვის)

ვინც გამიცნოს, იმისთვის
საჩუქრად ეს გვიზრახია:
ებოძოს ეშმაკისაგან
ერთი ან ორი კვახია.

—

დაბალი, სქელი, წვერადი,
ორფეხთა ჩამომავალი,
ტიმოშკინ-კუსტინოვიჩის
„ჭეშმარიტ“ გზითა მავალი,
გერბახ-ლევიტსკის „გენიის“
მორწმუნე თაყვანმცემელი,
გრიგორევ-ოლენინისა
აზრების გადმომცემელი,
,,ლექციებს'' მართავს, რომლითაც
თვალს გვიხვევს სწორათ მზერისა,
მქადაგებელი გამოდის
,,წაფარდებული წერისა.''
განგებას მოუვლენია
ჩვენი სკოლების ,,მხსნელათა''
(მოჭირისუფლეს უკეთესს
ველირსებოდით ძნელათა!)
ხან აქ ეჩრება, ხან იქა,
დაძვრება დაბა სოფლათა,
საბრალო სოფლის ,,უჩიტლებს''
გასწურავს ჭირის ოფლათა
ხან ნაწერს წუნობს, ხან ნაკითხს,
ხან ერთსაც, მეორესაცა,
(გადარუსების მომხრეა,
სახეში გქონდეთ ესაცა!)
აცხობს და აცხობს ,,დოყლადებს''
,,ღრმა აზრით“ გამსჭვალულებსა
(ფართი-ფურთობით იგებენ
თურმე-უფროსთა გულებსა!*)
რასაცა სიტყვით ის იცავს,
საქმით იმისი მტერია...
და ვინც მას დროზე ვერ იცნობს,
უკაცრავად თუ... შტერია.

**ანათემა.**

---

*) ხე, ხე, ხე! ზოგნი ამ ხერხით
კიდეც იძენენ ფულებსა!

ეშმაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოწოდება ეშმაკისადმი.

(თფილისის საქონლის სადგურიდან)

ძმაო ეშმაკო! ჩვენს სადგურში
ბევრი არის იმისთანა,
ღირსეულად რომ წარმოსდგეს
თქვენ კურთხეულ მათრახთანა.
ამ უსტარის მიღებისას
ადრე მაინც გვინახულე,
კანტორაში შემობრძანდი,
გამგეობა შეახურე...
წარსულისთვის რაც ეკუთვნის,
თქვენი ვალი შეასრულე,
მომავალში რომ გასწორდენ
სიტყვა ამით დაასრულე.
ასე უთხარ: ყველა წევრებს
გაუწიონ ანგარიში,
რას მიქვიან წაყურება,
ხათრი სთქვი და გინდა შიში,
ბოროტებას ჩაკვლა უნდა
როცა არის დასაწყისი,
თორემ რო ფეხს გაიდგამს
გვიან არის კვნესა, ვიში.
კარგი იყო იმათ კრებას
თქვენის თვალით დასწრებოდი,
ოჰ, იცოდეთ ეშმაკოჯან,
რა სიამით დასტკბებოდით!
მაგრამ რაკი ვერ დაესწარ
არ ყოფილა, ალბათ, წერა,
მე ვკისრულობ რომ გადმოგცეთ
თუ შევიძელ მართლ-აღწერა,
შინაარსი რომ გაგაცნოთ
მე მომეცეს ისე ლხენა,
კურთხეული მათრახისგან
მიადგებათ დიდი წყენა.
წარსული თვის ოცა ათში
კრება ჰქონდათ ამ ჩვენ „გმირებს",
ზოგ მათგანის საქციელი,
ვფიქრობ მეტად გაგაკვირვებს.
ჩვენ კი როგორც შეჩვეულებს,
დიდათ მაინც არ გვაკვირებს,
რადგან ბევრის მოწამე ვართ
და ვაჭერდით ენას კბილებს.
დღის წეს-რიგში კითხვა ჰქონდათ
თუმცა ბევრი მათ დასმული,
მაგრამ ერთი იმათ შორის
აღმოაჩნდათ მეტად რთული.
სდგება ერთი ორატორი
(„სჩოტით" ხელში მომართული
წინაალმდეგს აიძულებს,
მოუსმინოს დასასრული.
აქ მეორე ემზადება
მოიხადოს მისი ვალი,
წარმოდგა და ხელში იგდო
დიდი ბოთლით მან მელანი,
სტოლზე მაგრათ დაანარცხა
ვაი მათი ცოდვის ბრალი,
ვინაც მასთან მეზობლობდა
ლამის დაუბნელა თვალი...
ამას მოჰყვა შეჯახება,
რომ ჰკითხავდა ორსა ორი
„ხუმრობითაც" ლაწა-ლუწი
საქები და მოსაწონი,
არ გაუშვეს დაუმტვრევი
სკამი სთქვი და გინდა სტოლი,
მიძნელდება მთლად აწერა
უნდა მოგახსენოთ სწორი.
აგრე ამა პირსა ზედა
შეეჯახა ორი „მდევი"
მოზავენიც დასახიჩრდენ
იქით-აქეთ გამომწევი,
მელნით შეკმაზ-შეგვილებს
კაცნი, სტოლი და კედელი,
ბრალდება, ძმავ, გაგაცანი,
განჩინებას შენგან ველი.

**გურჯ-ოღლი**

---

## კუპლეტები

I

მიყვარს მე ჰანგი
გრძნობით დამდაგი,
გულში ჩამწდომი, აღმშფოთი სულის
ჩანგის სიმებზე ნაქსოვ-ნაქარგი
ამტოკებელი სევდის და წყლულის.
მიყვარს ხმა წყნარი,
ტკბილი, ნარნარი
ხან კი მქუხარე, მიმწდომი ცისა
ხან შხამზე მწარი, ხან მთლად გამტკბარი
თავ ბრუ დამხვევი... ახ, მომწონს ისა!

II

მიყვარს მე ქალი
ტრფობით დამთვრალი
სიყვარულისა ცეცხლის მკვესარე
ხან ამაყ-მწყრალი, ხან შესაბრალი
ხან შავ თვალთაგან სხივთა მგზნებარე:
მიყვარს ის ნაზი,
მიყვარს ლამაზი
სულის შვება, გულის ვარდია
მაგრამ ვაჰ! ჩემი ტურფა, მალხაზი
ცვალებადია... ცვალებადია

III

სიმათ გავაბი ჩანგს სიყვარული,
საამო ჰანგი ბულბულს მოვპარე
და გულის ძგერით,
ნარნარ სიმღერით

ძვირფას სატრფოსკენ მე გავაჩერე
ვნახე სულიკო... ტურფა, ცქრიალა
მომაფართქალდა, გულს ჩამიკონა
ხან გამიცინა
ხან ტოიწყინა
მომაჯადოვა და... დამიმონა
მაგრამ განვლო დრომ... ჩემი ღვთაება
ვნახე: ვილაც სხვას ჩაჰკონებოდა...
ვაჰ, რა ვიცოდი
თუ დავიწოდი
თუ სიყვარული გამწარდებოდა!

**ტლინკაძე.**

---

# ორ წყალ შუა!

### სურათი მესამე.

(სცენა წარმოადგენს იმავე სახლებს. დარბაზი სანთლებით გაჩაღებულია. შიგ სხედან საშა და მღვდელი, ხოლო ქვე-მოთ, კიბესთან აჭუზულა სოლომონი).

**სოლომონა** (ნაღვლიანათ) ოხ, ღმერთო! მართალი ყოფილა, რასაც საშა მწერდა ნეტავი რას იზამს კატუშა, როდესაც დამინახავს და გაიგებს ჩემს მოსვლას (ამოიოხრავს) ოჰ! კატო, რომ იცოდე რა მოგელის რომ იცოდე ყოველისფერი. (ნაღვლიანათ) დიახ, არა ვყვარებივარ, თორემ არ დასთანხმდებოდა, ეხლა რაღას იტყვის, რითი გაამართლებს თავს (ირონიულათ იცინის) ინიშნება, ხა, ხა, ხა... საბრალოვ, ის კი არ იცი, რომ „ორ წყალ შუა" ხარ (ამ დროს საშა ბალკონზე გამოვა და მღვდელს ხმა მაღლა ეძახის).

**საშა**. მამაო! მე ეხლავე მოვალ, აქვე დუქანში მივალ; საქმე მაქვს.

**მღვდელი** (ჩუმათ) ჩვენსა მიირბინე. მგონი სოლომანი მოსულა და დაარიგე, როგორც ჩვენ მოვილაპარაკეთ (საშა კიბეებზე ჩამოდის).

**სოლ.** (აღელვებული უძახის) საშა, საშა... (საშა მოიხედავს და დაინახავს სოლოს)

**საშა.** სოლო შენა ხარ?

**სოლ.** მე ვარ, მე, აქ მოდი.

**საშა.** აქ რა გინდა?

**სოლ.** ველარ მოვითმინე საშიკო, მაპატივე

**საშა.** რომ გნახონ მთელი საქმე ჩაიშლება, წავიდეთ.

**სოლ.** არა საშა, მითხარი, როგორ მოვიქცე შენი ჭირიმე.

**საშა.** წავიდეთ, გარეთ გეტყვი, აქ არ შეიძლება, წავიდეთ.

**სოლ.** (ხვეწნით) შენი ჭირიმე მითხარი მოკლეთ, ვერ მომითმენია.

**საშა** კარგი, მოკლეთ გეტყვი. დღეს ვითომ უნდა დავინიშნო, ასრე მოვახერხეთ, იმიტომაც მოგწერე წერილი, კარგია მოხველი, თორემ დავიღუპებოდი

**სოლ.** (მოუთმენლათ) რა დროს ხუმრობაა, თქვი ჩქარა.

**საშა**. ჰო, და ასრე შენ გვითვალთვალე, როდესაც მღვდელი შეიმოსოს და ერთათ დაგვაყენოს, შენ უცბად შემოდი, დაიწყე ყვირილი, გალანძღე კატო, მოიგონე, რომ გიკოცნია, წერილები ამოიღე და გვაჩვენე, რასაკვირველია, მაშინ მეც აქეთ წამოვალ და საყვედურს მივცემ, რომ რათ მატყუებდენ და ორთავენი გადავრჩებით. ასრე სოლომან, მე ეხლა წავალ.

**სოლ.** ბიჭო! რომ იტიროს და პატიება მთხოვოს, რა ვქნა?

**საშა.** ეგ მერე შენ იცი (მიდის).

**სოლ**. (მარტო) ოხ, ღმერთო რაზე გამაჩინე ასეთი უბედური. ყველანი მაჭერენ ფეხს: თფროსებიც, ნაცნობიც, გულის საყვარელიც (ტირის) ოხ, კატო, შენ მომიწამლე მთელი სიცოცხლე და ეხლა სამაგიეროს გადაგიხდი (ჩაფიქრდება) არა, არა, ვაპატივებ თუ შეინანია, ისევ ჩემი იქნება (ამ დროს სიცილის ხმა მოესმის კატოსი, ცოტა ხნის უკან სიმღერა) იმღერე, ჩემო გულის მომკვლელო (ჩაფიქრდება) მოდი ეხლავე ავალ, ვეტყვი ყოველისფერს (კიბეზე ხმაურობა მოესმის და მიიკუნჭება, მერე ისევ გამოვა, ბახჩისკენ წავა, იქვე ერთ ხეზე ადის და უყურებს ზალაში, რომელშიაც სხედან მღვდელი, საშა, გიორგი კატოს ძმა, კეკელა და სამი სტუმარი. კატო მარჯვნივ დახტზე ზის გიტარით ხელში).

**მღვდელი.** (ხუმრობით) ერთი კატერინე „დამწვრისა" დაუკარი, საყვარლებზე რომ იცი ხოლმე.

**კატო.** (მორცხვათ) მე არ ვიცი არაფერი

**საშა.** გთხოვთ.

**კატო.** Не могу играть.

**მღვდელი.** ნე მაგი კი არა, მინ მაგი არ გინდა, დაუკარი თორემ ერთ ცვარ ღვინოს აღარ დავლევ და აღარც დაგნიშნამ.

**კეკელა.** დაუკარი შვილო, რასი გრცხვენია?

**კატო.** კარგი, მარა იცოდეთ, რომ კარგათ არ ვიცი სიმღერები და არც ხმა მაქვს.

**საშა**. როგორც შეგიძლიათ ისრე (კატო გიტარას მომართავს და დაიწყებს დაკვრას, თანაც დამღერის).

**კატო** სატრფოს ველი შორის გზიდან
ყველა მოდის ის კი არა.
ვაჰ თუ გზაში დაიღალა
სუსტია და ვერ იარა.
ვაჰ თუ ვინმე ტურფა ნახა
და შორის გზით ჩამიარა,



① ედუარდ VII.




②

## ② ალბანიის ქარტა.

აგერ მესამე კვირა გადის, რაც ოსმალეთში საშინაო ომი სწარმოებს. მთიან-გორებიანი პროვინცია ოსმალეთისა, ალბანია, აბდულ გამიდის ნუგეში და მომხრე აშკარათ აჯანყდა ოსმალეთის ახალ მთავრობას. აჯანყების მიზეზთ ბევრს სხვა და სხვა რამეს ასახელებენ. მათ შორის თვალსაჩინოთ უნდა ჩაითვალოს ძველ უპირატესობათა ჩამორთმევა და ახალ გადასახადის შემოღება.

ალბანელები გულადი, მეომარი ხალხია. მათი შეიარაღებული რაზმები ხშირათ კიდევაც ამარცხებენ ოსმალეთის რეგულიარულ ჯარსა. დეპეშებს ყოველ დღე ახალ-ახალი ცნობები მოაქვთ მათი თავდადებული ბრძოლის შესახებ, მაგრამ საბოლოოთ მაინც იძულებული იქნებიან დაემორჩილონ ახალ რეჟიმსა და ახალ მთავრობას.

## ① ახლად გარდაცვალებული ინგლისის მეფე.

ამ დღეებში გარდაიცვალა ინგლისის მეფე ედუარდ VII და ინგლისის ტახტზე ავიდა ძე მისი გეორგ V.

ზოგიერთების აზრით ეს გარემოება გავლენას იქონიებს ინგლისის საერთაშორისო განწყობილებაზე, მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისში მეფის გავლენა საგარეო პოლიტიკაზე უფრო სუსტია, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

ამდენი ხნის სიყვარულმა
ვაჰ თუ ტყუილათ ჩამიარა და სხ. და სხ.

(ყველანი ტაშის ცემას ასტეხენ. კატო ადგება და გარეთ გადის, სოლომანი ხიდან უყურებს. მარავერ ბედავს დაძახებას).

**საშა.** საუცხოვოთ იმღერა, საუცხოვოთ.

**მღვდელი.** (ცოტა მთვრალია) ეგ იმიტომ, რომ შენ მოგწონს (ხელს გადახვევს) ერთი მრავალჟამიერი ვიმღეროთ. (თითონ მღერის, გიორგი წამოდგება და ძიმარჯვებს მღვდელს).

**გიორგი.** მამაო დროა მგონი ნიშნის კურთხევისა.

**მღვდელი.** სიძეს ჰკითხეთ

**საშა.** დროა მაშ, რაღას ველოდოთ (მიიხედმოიხედავს). კატო სად არის?

**კეკელა.** ემსახე შემოვიყვან (გადის და შემოჰყავს კატო).

**მღვდელი.** (იმოსება შვილებო, მოდით და ერთათ დადექით (ორთავენი მივლენ და დგებიან, ყველანი ფეხზე წამოდგებიან ამ დროს სოლომანი ბალკონიდან შემოსასვლელ კარებში დგას და კბილებს აკრაჭუნებს).

**გიორგი.** დაიწყე მღვდელო.

**მღვდელი.** ემ საათში (საშას თვალს უხამს, ამ ნიშნით სოლომანი მზათ არის, თუ არა პასუხს მიიღებს, რომ მზათ არის და დაიწყებს) კურთხეულ... (გაიღება უცბათ კარები და აღელვებული შემოდის სოლომანი, ყველანი დაშეშდებიან. კატო პირზე ხელებს მიიფარებს, კეკელას ფერი წაუვა. საშა და მღვდელი ჩუმათ იცინიან)

**სოლ,** (კატოსკენ ხელს გაიშვერს, ქალბატონო კატო! სად დაჰკარგეთ სინდისი? სად დაჰკარგეთ პატიოსანი სიტყვა? რაზედ დაივიწყეთ ის ალერსი, ის კოცნა, რომელიც ჩვენ კაკლის ქვეშ გვქონდა ხოლმე.

**გიორგი.** (აღელვებული) გადი გარეთ.

**სოლ.** რა გაყვირებთ ყმაწვილო! თქვენი აღელვება ჩემთვის დამშვიდებაა (კატოსკენ) თქვი, რაზედ აგიფარებია ხელები პირზე. (ამოიღებს წერილებს) ეს ვისი მოწერილია, რაზე რაზე ატყუებთ მაგ ყმაწვილ კაცს? ოხ, უსირცხვილო; შენ გდომებია გათხოვება, სიმდიდრე ფუფუნება და არა სიყვარული. შენი გული ყოფილა „ბაკი" სადაც ყველას შესძლებია შემოსვლა. მშვიდობით ეს-კი იცოდეთ, რომ სოლომანი გადაგიხდის. (საშასკენ) შენ-კი, მეგობარო, იცოდე, რომ ეგ ქალი ჩემი იყო მთელი ერთი წელიწადი (უნდა წავიდეს მარა მღვდელი არ უშვებს )

**საშა.** (აქეთ წამოვა) რაზე არ მიიხარი ქალბატონო კატო, თუ თქვენ გიყვარდათ ვინმე. მაშ როგორც სჩანს მატყუებდით, მშვიდობით (კარებისკენ წავა, კატო ტირილს დაიწყებს და სოლომანისკენ წავა).

**კატო.** (ტირის) სოლომან, ჩემო მთვარეო ჩემო მზევ მაპატიე მე უბედურს ნუ ჩამაგდებ ხალხის პირში (ტირის).

**მღვდელი.** სოლომან აპატივე და ეს ნიშნობა შენზე გადმოვიდეს.

**სოლ.** მე მატყუარას არ ვაპატიებ, აი რომ იტყვიან „ორ წყალ შუაო" ამასა ჰქვია. უნდა წავიდეს მარა ყველანი მიეხვევიან და ეხვეწებიან პატიებას, კატო გამწარებული ტირის მერე მივა, და მუხლებ ქვეშ უჩოქებს.)

**კატო.** (ტირილით) სოლო... მაპატივ .. (გული მისდის, ყველანი მისცვივდებიან მარა სოლომანი გაარღვევს გზას მივა ახლოს და აბრუნებს, ტირილი მოუვა, მოეხვევა და ტირის, კატო მოსრულდება და სოლომანს ყელზე ჩამოეკიდება). სოლო ჩემო ვარდო მაპატივე მე მოღალატეს.

**სოლ.** (ეხვევა მიპატივებია ჩემო თვალის ჩინო მუხტო (ეხვევა და ტირის).

**მღვდელი.** აი კაცი ასეთი უნდა, ღვინო, ღვინო მოიტათ (კეკელა ცოტა ფერზე მოვა, ღვინოს გამოიტანენ, გიორგიც გამხიარულდება და ბოთლებს აიღებენ ხელში, სოლომანს და კატოს ჰკოცნიან.)

**მღვდელი.** ღმერთმა გაგაბედნიეროთ შვილო როგორც სარა და აბელი. (სვამს).

**ყველანი ერთად.** ღმერთმა გაგაბედნიეროთ მრავალჟამიერის ხმა მოისმის.

(ფარდა)

**გლეხი ვ—ნო.**



## წერილები რედაქციის მიმართ

—

ბატონო რედაქტორო! გასული წლის „მათრახ-სალამურის" № 19—24, მე ბრალსა ვსდებდი დიდიჯიხაიშის ქსენონ აფთიაქის კომიტეტს მათ უმსგავსო მოქმედებაში. ბრალდებულებმა თავი შეურაცხყოფილათ იცნეს და გამომიწვიეს სამედიატორო სამართალში. მე მათ უნდობლობა გამოვუცხადე, რადგან ვიცოდი, მათ აინტერესებდათ, კორესპონდენტის ვინაობის გაგება, და არა სიმართლის გამოკვლევა. დაასახელეს მედიატორები თავიანთი მხრით პ. კიკალიშვილი, და ბურჯულაძე, ხოლო მე ჩემის მხრით დავასახელე, როგორც მედიატორები, აგრეთვე ჩემი რწმუნებულიც. რაკი ბ-ნმა კომიტეტებმა ველარ გაიგეს კორესპონდენტის ვინაობა და ამგვარათ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, თავი მიანებეს სამედიატორო სასამართლოს და მიყუჩდენ.

ახლა, თუმცაღა ეს ვაჟბატონები გააძევა საზოგადოებამ, როგორც ქსენონ-აფთიაქ დან, აგრეთვე ბანკიდანაც.

მე მაინც სასურველათ მიმაჩნია, გადაყენებულმა კომიტეტებმა შეასრულონ თავიანთი სიტყვა, სამედიატორო სამართლის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემ-მიერ მოყვანილი ფაქტები, რომელიც მოხსენებული იყო „მათრახ-სალამურის“ 24 ნომერში, უცვლელად დარჩება.

„კიკოლა ბიჭი“.

—

„მათრახი და სალამურის“ 14 ნომერში ვიღაც „სოხუმელი“ პრიჭინა ამცნობს მკითხველ საზოგადოებას, რომ მე გამოვიწერე ავტომობილი და ათავებს იმით, რომ მე თითქო არავის ვინდობდე და ყველას ვყვლეფდე. ვერ გამიგია, საიდან გამოიყვანა ბ. პრიჭინამ ასეთი დასკვნა! შეიძლება ლექსის წერაში ვარჯიშობის სურვილმა აურია ასთე დავთარი!? ნუ თუ ავტომობილის ყოლასა და სეირნობაში გამოიხატება ყველა ეს! განა არ იცის მან, რომ მე ბირჟაშიდაც არ გამომყავს ავტომობილი, რომ ხელი არ შეუშალო მედილიჟნეებს და მეეტლეებს!

რაც შეეხება იმას, რომ მე თითქო „ქუჩაში ვიყო შობილი“, ამის შესახებ ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ დიახაც მიყვარს ქუჩა და ვაყენებ თუ არა ზარალს ვინმეს, ამით ამაზე და თვით მისი წერილის სინამდვილეზე მსჯელობა მიმინდვია თვით სოხუმელ მცხოვრებლებზედ!

ნესტორ ნოდია.



მათრახის ფოსტა.

**ოზურგეთი.** ბორეცს. თქვენი განცხადება.

„ზემოხეთლებო მღვდლებო,
მომ გებეთ ყველამ ხელი
მსურს გაგაცნოთ ჩემი თავი
რა გვარი ვარ და რის მქნელი“.
ახლა მე ამას გიმცხადებთ
სწრფელი გულით, ძმურად ყველას
ცუდ საქმეს ხელი აშორეთ,
თუ გსურთ აცდეთ ხათაბელას“.

მართლაც რომ წრფელი გულით გიცხადებთ და გთხოვთ: ცუდ საქმეს, ე. ი. ამისთანა ლექსების წერას დაანებეთ თავი და აგვაცდინეთ ხათაბალას.

**ხონი.** კოვზს. თქვენი ლექსები დაიბეჭდება სამხედრო წესების მოხსნის შემდეგ. ალბათ იმ დრომდე კი მოხვალთ გონს.

**სამტრედია.** ქინას. ასეთი ლექსები ჩვენის აზრით ცალკე უნდა გამოსცეთ:

„მწარე გემო დამყოლია
ვითარცა მე ქინასაცო,

სიცოცხლეში არ მინახავს
რომ წამალი [illegible] კაცსო“.

ეგ შემდეგი აზრია. თქვენ, მაგალითად, ძლიერ მოგიხდებოდათ ერთობ კუდი ეშმაკის მათრახისა, მაგრამ საბედნიეროთ შორს ხართ.

**ხაშური.** მედავითნეს. მედავითნისათვის უფრო შესაფერი „ეკლესიის“ რედაქცია იქნებოდა, რასაკვირველია, თუ არ თქვენი ლექსის „იუმორისტული“ შინაარსი:

„მათ გამო წარღვნის მომლოდნენი
არ ღირს გვყოს ჩვენ განგებ ძალით ძალმა.
კუდიანთა ვარსკვლავთ შიშით ქვეშ მყოფთ
მოგვენიჭდა ის თვით უფალმა“.

უმჯობესი იქნებოდა, უმაღლესი ის, რაც „თვით უფალმა მოგვნიჭათ“, ისევ უფლისათვის ან სხვა ვისმესთვის მიგვენიჭებია.



იყიდება „შრომის“ სტამბაში
და აგრეთვე ყველა ხავნებათ მსურველთ:
1909 წლის „ალმანახები“ 7 ნომერი
და „მათრახი და სალამური“ 20 ნომერი
ერთად შეკრული . . . . 2—50 კ.

---

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

კ. ჰ. კანდელაკისა

# კოოპერაცია

თეორია, ისტორია და პრაქტიკა

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлисъ, Типографія Шрома В. К. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, დაეთმობა 25⁰/₀.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს შვიდი შაურის მარკები და ამ ფასში მიიღებს თავის ადრესზე.

---

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. «შრომა» რუსის ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ე. ტურაბელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი გვარი მსოფლ-მხედველობა




მარქსიზმი 2. მიკვირს ღმერთმანი, ამ ფულების ბჭყვრიალი თვალებსა სჭრის და რისთვის ეძახიან მას „ბნელ-ფულებს“!!!